
პირველადი ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

სანაპიროს ქ. № 2



სანაპიროს ქუჩის № 2 შენობა ბაღში დგას. ამ ადგილას XIX საუკუნეში მტკვარის ტოტი და ე.წ. მადათოვის კუნძული იყო. გენერალი მირბაჯან მადათოვი კუნძულის მფლობელი XIX ს-ის 20-იან წლებში გახდა. მანამდე კი ეს ტერიტორია თავად ორბელიანებს ეკუთვნოდათ და მას ორბელიანის კუნძულს ეძახდნენ (მის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის გადაღმა ორბელიანთა უბანი იყო). ორბელიანთა კუნძული ცნობილი იყო თავისი ბაღებით. მადათოვის მფლობელობაში გადასვლის შემდეგ კუნძულზე გაშენდა მცირე საწარმოები, ბაღი თანდათან გაიჩეხა, მისი ნაწილი ნაგავსაყრელად იქცა.



1. 1890-იანი წწ.



2. 1913 წ.



3. მადათოვის კუნძულის ნაწილი, 1896წ. ფოტო

კუნძული საბოლოოდ მას შემდეგ გაქრა, რაც 1933 წელს მტკვრის მარჯვენა ტოტი ამოაშრეს და სანაპირო გააშენეს. 1933 წელს ხარკოვის ქალაქგეგმარებითი ინსტიტუტის და თბილისის საბჭოს თანამშრომლობით შემუშავებული თბილისის

გენ. გეგმა ითვალისწინებდა, ქალაქის რეკონსრუქციას და ახალი ტერიტორიების ათვისებას. სანაპირო ქუჩა რამდენიმე ეტაპად შენდებოდა: 1933-39 წწ.-სა და სამამულო ომის შემდგომ ხანაში. ამ მშენებლობის დროს დააშრეს მტკვრის მარჯვენა ტოტიც. სანაპირო ტრასა სწორედ ამ ამოშრობილი ტოტის კალაპოტში მოექცა. მადათოვის კუნძულის ადგილზე კი პარკი გაშენდა (არქ. ზ. და ნ. ქურდიანები).


ул. Ардонская
ул. Шатская
ул. Багратиони
ул. Набережная Сталина
ул. Кахетинская
ул. Гудиашвили
ул. Мцхетская
ул. Ингурская
ул. Ингилойская
ул. Ахалцихская
ул. Ахметская
ул. Ананурская
ул. Ушбинская
ул. Ахалкалакская
ул. Ахалцихская
ул. Ингилойская
ул. Ингурская
ул. Ахметская
ул. Ананурская
ул. Ушбинская
ул. Ахалкалакская
ул. Багратиони
ул. Набережная Сталина
ул. Гудиашвили
ул. Мцхетская
ул. Кахетинская
ул. Шатская
ул. Ардонская
ул. Мцхетская
ул. Кахетинская
ул. Шатская
ул. Ардонская
ул. Багратиони
ул. Набережная Сталина
ул. Гудиашвили

ორსართულიანი ნაგებობა აგურის ფუნდამენტზე დგას. შენობის მარცხენა კუთხეს მცირე ზომის ნახევრსართული ადგას. საფასადო კედლები პილატრებითა და ღიობებითაა დანაწევრებული, რაც ერთიან რიტმს ქმნის და მთელს ნაგებობას ერთიან მხატვრულ სახეს ანიჭებს. შენობის ფასადების კომპოზიციურ-მხატვრულ გადაწყვეტაში მისი ფუნქცია იკვეთება. I სართულზე წინა და უკანა ფასადებზე პილასტრებს შორის მოქცეული მაღალი (სართულის სიმაღლის) კარების რიგია (თანამებროვე, რკინის), II სართულზე მაღალი სარკმლები. კარ-სარკმლებს მარტივი სწორკუთხა მოხაზულობა აქვთ. შენობას აგვირგვინებს საკმაოდ მაღალი კარნიზი დამახასითებელი კრონშტეინებით. კარნიზის თავზე პარაპეტია.

შენობის მთავარი ფასადი (სურ. 5, 6) ბაღში გადის. იგი უფრო საზეიმოდაა გადაწყვეტილი, რასაც განაპირობებს მის ცენტრალურ ნაწილში კედლის სიბრტყიდან საკმაოდ შვერილი, მძლავრი პილასტრების რიგი, რომელიც სართულებს ვიზუალურად აერთიანებს და კარ-სარკმელთან ერთად ერთიან რიტმს ქმნის. კედელი პილასტრებით თანაბარ არეებადაა დაყოფილი. მათ შორის ღიობებია ჩასმული. სართულები ერთმანეთისგან ვიზუალურად არ არის გამოყოფილი. პილასტრების ვერტიკალებს შეესატყვისება კედლის სიგანის, მაღალი კარ-სარკმელი. I სართულის თითქმის მთელ სიმაღლეზე კარები (თანამედროვე, რკინის), II-ზე – მაღალი სარკმლები. სარკმლებს, ისევე როგორც დანარჩენ ფასადებზე, დამახასიათებელი მრავალნაწილიანი ალათები აქვთ (სურ. 7). პილასტრებს ეყრდნობა კარნიზი.



6.

ფასადის მარჯვება კუთხეში მიდგმულია რკინის კიბე – გვიანდელი დამატება, რომელიც II სართულზე ადის. აქ სარკმლის ღიობი გადაკეთებულია ფართო კარად (სურ. 7, 8). საფასადო კედლის მარცხენა ნაწილი ყრუა, დაუნაწევრებელი (სურ. 6). ნახევარსართული კარნიზით გვირგვინდება, მის კედლებში სარკმლებია გაჭრილი.


7.


8.

უკანა ფასადი სანაპიროს ქ-ზე გადის ჩანს (სურ. 8). ნაგებობის ეს ფასადი უფრო სადაა. საფასადო კედელზე ბრტყელი, კედლის სიბრტყიდან ოდნავ ამოწეული პილასტრებია. მათ შორის ისეთივე კარ-სარკმელთა ღიობებია, როგორიც მთავარ ფასადზე. ოღონდ სარკმელებსა და კარებს შორის კედლის არეები სწორკუთხა, ოდნავ ნაშვერი სიბრტყეებითაა შევსებული (სურ. 9, 10).


9.


10

შენობის წინ დგას თანამედროვე ერთსართულიანი ნაგებობა (ავტოსამრეცხაო), რომელიც შენობას ნაწილობრივ ფარავს (სურ. 9, 11). გასათვალისწინებელია ისიც,

რომ № 2 ნაგებობის ეს ფასადი ქუჩაზე გამოდის და შორიდანვე ჩანს. აღნიშნული თანამედროვე ნაგებობა კი სრულ შეუსაბამობაშია როგორც ამ შენობასთან, ისე გარემოსთან (სურ. 11).



11.

ნაგებობის გვერდითა კედლები უფრო საადაა, კარ-სარკმელთა ღიობებით დანწევრებული (სურ. 12, 13).

უნდა აღინიშნოს, რომ სანაპიროს ქ. № 2 ნაგებობა თავისი მასშტაბითა და პროპორციებით მოხდენილადაა მორგებული გარემოს, მის ირგვლიც არსებულ ბაღს.



12.



13.

სანაპირო ქ. № 2 ნაგებობა სტილით და არქიტექტურული თავისებურებებით სტალინური ეპოქის დამახასიათებელი ნიმუშია. იმ პერიოდის ტექნიკური დანიშნაგებობის ნაგებობის ადაპტაცია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და მისთვის ახალი ფუნქციის მინიჭება სავსებით დასაშვებია. მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია შენარჩუნდეს:

- ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული სახე;
- ფასადების კომპოზიცია (პილასტრებისა და ღიობების რიტმი);
- კარ-სარკმელთა ფორმა და ზომა;
- სარკმლის ალათების ფორმა;
- კარნიზი;
- ნაგებობის მასშტაბი და კონფიგურაცია;
- ფასადი უმჯობესია შეილესოს;

- სანაპიროს ქ.-ის მხრიდან შენობა უნდა განთავისუფლდეს მის წინ არსებული თანამედროვე ნაგებობისგან (ავტოსამრეცხაო); რაც ფარავს შენობას და აუშნოვებს ხედს. ბაღისკენ გამავალ ფასადზე მოიხსნას მიდგმული კიბე და აღსდგეს გადაკეთებული ღიობი.
- საგანგებოდ უნდა გამახვილდეს ყურადღება ბაღსა და გამწვანებაზე. ნაგებობა მრავაწლიან ნარგავებს შორის დგას. ბაღის შენარჩუნება და დაცვა აუცილებელია.

ლალი ანდრონიკაშვილი
ხელოვნებათმცოდნე